ფასი, 26 ივლისი | მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება"-ზე | № 30 — 1915

სამშობლოს მომღერალი აკაკი
(გარდაცვალებიდან 6 თვის შესრულებია გამო)

ა რ წ ი ვ ი

გალიაში ზის არწივი,
ველარ ახერხებს ნავარდსა;
ველარც ქვრეტს ატეხილ ქალებს,
ვერც ყნოსავს ია და ვარდსა!..

—

ტანჯვით იგონებს იმ ძველ დროს,
როცა თავს აჯდა იალბუზს
და ქვემოთ მავალ ცხოველებს
ოდნათ ჰხედავდა, ვითა ბუზს.

—

ცის მახლობლობით ამაყი,
ძირს ეშვებოდა შურდულად...
მსხვერპლზედ პირდაპირ მიმსვლელი,
თვით დაიჭირეს ქურდულად.

—

გალიაშია, მზე-ბნელი,
მარტოდ-მარტოკა ის ობლად
და იქვე ჯირკზედ მიბმული
ბაიყუში ჰყავს მეზობლად.

აკაკი
(ანდრია ღულაძის წიგნთსაცავიდან)

დღეს და ხვალ

26—27 ივლისს, ყველგან ძოიკითხეთ, იყიდეთ და გაავრცელეთ აქარელთა გაზეთი

„ᲫᲛᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲮᲐᲠᲗᲣᲮᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ

მიხეიდის ბრ. № 131

საუბნოო საზაფხულო როტონდა», სტენით და მშვენიერი, ელექტრონით განათებული, ბადით.

პარასკევს, 24 ივლისს	ᲡᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲜᲓᲐᲠᲘ
შაბათს, 25 ივლისს	ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ
კვირას, 26 ივლისს:	ᲛᲐᲜᲓᲝᲚᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ
ორშაბათს: 27 ივლ.	ᲡᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ; ᲡᲐᲖᲐᲜᲓᲐᲠᲘ
სამშაბათს 28 ივლ.	ᲡᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ
ოთხშაბათს 29 ივლ.	ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ, ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ
ხუთშაბათს 30 ივლ.	ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲝ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ
პარასკევს 31 ივლ.	ᲡᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲡᲐᲖᲐᲜᲓᲐᲠᲘ
შაბათს, 1 აგვისტოს	ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ
კვირას 2 აგვ.	ᲛᲐᲜᲓᲝᲚᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ

დასაწყისი სალამოს 8½ საათზე.

შესავალი ფასი: მამაკაცნი ახდიან, —30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ.

Открыта полугодовая подписка

съ 1 Іюля по 3 Декабря 1915 года на ЖУРНАЛЪ „ТЕАТРЪ И ИСКУССТВО“

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой 4 р. 50 к. (За границу 7 руб.)

ежемѣсячныя приложенія „Библіотеки Театра и Искусства“ съ пьесами текущаго репертуара. Въ вышедшихъ книгахъ за первое полугодіе помѣщены: „Пигмаліонъ“ Бер. Шоу. „Пѣвецъ своей печали“ О. Дымова. „Домъ“ В. Тардова. „Чудо герой“ Джона Синга, „Слѣпая любовь“ Н. Грушко, миніат. Куприна, М. А. Любимова, О. Дымова, М. А. Потапенко, С. Юшкевича и др. Намѣчены къ печатанію въ слѣдующихъ книгахъ: „Осеннія скрипки“ И. Сургучева, „Начало карьеры“ В. Рышкова, „Вѣра Мирцева“ Л. Урванцова, „Кровь“ С. Шиманскаго и др. ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГОДЪ съ 1 Января—8 руб. Новые годовые (съ 1-го января) подписчики получатъ всѣ вышедшіе №№ со всѣми приложеніями. Отдѣленый № 20 коп.

Главная контора: Петроградъ, Вознесенскій пр. д. 4. Телеф. 16—69. (4—2)

თეატრი და ცხოვრება

საალვანი სალიტერატურო ჟურნალი

№ 30

ფელიეტონი მესამე

ფასი: წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სოსრაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სოსრაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 30 ქვირა, 26 ივლისი 1915 წ.

26 ივლისი

განაპირა თეატრები

ღარიბი ხალხის უბნები მარტო უგზოობით, სიბნელითა და უწყლობით არ არის გაჭირვებული...

აქ ვერ ნახავთ წიგნსაკავ-სამკითხველოს, საკმაო სკოლებს, საღამოს კურსებს ..

ღვთის ანაბრობაძე მიტოვებული ღარიბი ხალხის შვილები უმეტესად ქუჩაზე ლაზღანდარობასა და ყომარბაზობაში ჰკარგავენ დროს...

ისევ ხალხის შეგნებულმა შვილებმა გამოიდეს თავი და ღარიბთა უბნებში—განაპირა ნაწილებში სახალხო თეატრები მოაწყეს...

და ხალხიც გატაცებით ესწრება, რომ ქოიკლას სულიერი წყურვილი, გაიგონოს მშობლიური სიტყვა, ჩაიხედოს თვის ცხოვრებაში, უკეთესი მომავლის ვარსკვლავი განჭვრიტოს...

ასეთი თეატრებია ავლაბარში, ნაძალადევში, საბურთალოზე, ხარფუხში (აქ ალარ ვახსენებ ზუბალაშვილთა სახალხო სახლს, რომელიც, ცოტათ თუ ბევრად, მკვიდრ ნაადგზეა)...

მაგრამ საკმაოა ერთი ორჯერ დაესწროთ აქ გამართულ წარმოდგენას, რომ იგრძნოთ და დარწმუნდეთ, რა მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა სახალხო თეატრთა მესვეურთ...

არც პიესის შესაფერი მომზადება, არც ტანისამოსი, არც დეკორაციები, არც რეკვიზიტი...

ერთი სიტყვით ხელოვნების წმიდა ტაძარში გამეფებულია არა ხელოვნური უწმინდური ხელოსნობა.

მაგრამ რას იზავთ?

ამა თუ იმ წრეს იმოდენი სახსარი არა აქვს, მოიწვიოს მცოდნე რეჟისორი, დაახატვინოს რიგიანი და საჭირო დეკორაციები, შეიძინოს ხელსაწყონი, წარმოდგენა მხატვრულ ხელოვნური დასდგას..

ცოტად თუ ბევრად რიგიან საფეხურზე დაყენებულ მდიდარ თეატრს-ც კი ხაზინა თუ კერძო პირი ან რომელიმე დაწესებულება ფულით ეხმარება, რომ წარმოდგენები მართოს და მიუხედავად იმისა, რომ თეატრის მრეველი საზოგადოების უმდიდრესი ნაწილია, ასეთი თეატრი მაინც ხშირად ზარალობს, რა უნდა ჰქმნას სახალხო თეატრმა, რომლის თითოეული წარმოდგენის სრული შემოსავალი 20—30 მან. უდრის?..

ჩვენში კი არა თუ ფულით დაეხმარნენ და ხელი შეუწყონ სახალხო თეატრთა წინსვლას, ხშირად ხელსაც კი უშლიან... (დიდი ხანი არ არის, რაც „ქალაქის მამებმა“ მოშალეს ხარფუხის სახალხო თეატრი).

თეატრი თუ სადმე საჭიროა—ეს უეჭველად ღარიბთა უბანში, იქ, სადაც საგანმანათლებელო დაწესებულებანი არ მოიპოვება და მათ მაგიერობას თეატრი სწევს...

ამიტომ თუ ვისმეს ხალხის გონებრივ ზნეობრივი წინმსვლელობა მართლა რადმე უღირს, დემოკრატიის აღორძინება გულით სწადს, ყოველის ღონისძიებით ხელი უნდა შეუწყოს განაპირა თეატრთა რიგიან ფეხზე დაყენებას...

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიქციოს საქალაქო და სხვა წოდებრივმა თუ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანმანათლებლო საზოგადოებამ და ფულით დახმარება აღმოუჩინოს განაპირა თეატრებს— ავლაბრის, ნაძალადევის, საბურთალოს, ხარ-ფუხის და სხ., რომ ამ წრეთა მეთაურებმა ხალხის წინაშე ნაკისრი მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულონ.

———

მცირე მოგონება

ექვსი თვე შესრულდა (25 ივლისს), რაც ჩვენი სულის მეფე—ქართველი ერის წინასწარ-მეტყველი დადუმდა...

აღარა გვყავს აკაკი—ხორციელი.

მაგრამ სული მისი ჩვენში ტრიალებს, მისი მარგალიტები ჩვენშია განბნეული...

სიტყვა მისი ყავარჯენია ჩვენი, წინამ-ძღოლი და უკეთესი მომავლის მოკარნახე...

და ეს განძი დღესაც კიდევ არა გვაქვს გამოცემული...

დღესაც არაა შეკრებილ-დაბეჭდილი აკაკის სრული შემოქმედება...

არა თუ ეს—ჯერ არც ისაა გამოცემუ-ლი, რაც ქართველი ერის მოწინავე შვილებ-მა და ქართველთა მეგობრებმა გამოსთქვეს ჩვენი დიდებული მგოსნის გარდაცვალება-დაკრძალვის დღეს...

ნუ თუ კიდევ დაყოვნება გვმართებს?!.

ნუ თუ მთაწმინდაზე მიტოვებული, გახ-რიოკებული სამარე მგოსნისა ერთს მაინც არ გვაღვინდისებს?!.

1) შარინ ბეგაშვილი, 2) ,,ბადი ახმედ.ეფენ-ფი, 3) მუსტაფა ეფენდი ხადი—შერვაშიძე, 4) უსუფ-ადა ტისკარიძე

უძღვნი ჩემს დებს

მაჰმადიან ქართველ ქალებს *)

თუმც შავ დროის მწარე ხვედრმა
დაგვაშორა მკვიდრი დანი,
არ დაგვინდო მუხთალ ბედმა,
დაგვიბნელა დღე მზიანი,—

მაგრამ დადგა დრო დიადი,
დრო საამო, სანატრელი:
ქრება, ქრება ბნელ-წყვდიადი,
გვევლინება ცით ნათელი!

დადგა დრო, რომ დაკარგულმან
დებმა დები დაგინახოთ,
შეეერთდეთ და ლხინ-ვარამი
ერთ მთლიანად დავისახოთ.

ერთად ვთესოთ, ერთად მოვმკოთ,
ერთი აზრით გამსჭვალულმა,
რომ მით მაინც იგრძნოს შვება
ნაწამები დების გულმა.

ან კი რა გვაქვს გასაყოფი,
განა შეგვრჩა კიდევ რამე?
დადგა დრო, რომ გავარჩიოთ
მნათობისგან ბნელი ღამე.

მაშ ვსცნოთ, დანო, რომ ერთნი ვართ,
ერთი მამის შვილთა შვილნი,
საქართველოს მკვიდრები ვართ
ერთ ძუძუზე გამოზრდილნი!..

გაიცანით ჩვენი მხარე,
გაიცანით ჩვენი წყლული,
მაშინ იგრძნობთ როგორ ჭკნება,
ღაჩაგრული მგოსნის გული!..

24 ივნისი **დარია ახვლედიანისა**

*) ეს ლექსი საგანგებოდ დაიწერა „თეატრი და ცხოვრების“—ქართველ მაჰმადიანთა ნომერში“ მ საიავსებლად, მაგრამ ჩვენს უნებლიეთ ვერ დაიბეჭდა. ვბეჭდავთ ახლა. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასის მოგზაურობა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 28)

უნდა გაეცლოთ სწორედ „სოფლ-ს გმირების“ ესრეთ წოდებული შავი რეპეტიცია.

გამოირკვა, რომ ამ პიესის როლები სულ ახალგაზდებს ჰქონდათ გადაცემული და, სხვათა შორის, მამაკაცთა მთავარი როლები—ტარიელ მკლავიძისა—ანდროს და სპირიდონ მცირიშვილისა—სოსოს.

დასის „ძველი გვარდია“ ისვენებდა.

ეს იყო თითქო საეკზამენო წარმოდგენა ახალგაზდებისათვის. სოსო მიხვდა ამ ამბავს და როდესაც რეპეტიცია დასრულდა, ესე შეაგულიანა მის გარშემო შეგროვილი ახალგაზდობა:

— ბაბა, აი ეხლა გვმართებს თავის გამოჩენა ყველას. ყველანი უნდა დიდათ ვეცადნეთ, რომ დავუმტკიცოთ საზოგადოებასაც და ჩვენს ბობოლებსაც, რომ ჩვენც შეგვიძლია ცოტად თუ ბევრათ პასუხ-საგებ როლების აღრსულება, რომ ჩვენც...

აქ გაიღიმა სოსომ.

— „კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა!..“ არა, მართლ! ეხლა ხომ ვეღარ იტყვით როლები არა გვაქვსო —ყველას დაკისრებული აქვს პასუხ-საგები საქმე.—მე მართალია ცოტათი არ ვეთანხმები რეჟისორს როლების განაწილებაში.—აი მაგალითად ქარქაშიძის როლი სკვინჩაძეს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ამაღლობელს, მაგრამ ეგ არაფერია.—ჩვენ უსათუოდ უნდა ვემორჩილებოდეთ რეჟისორს... ერთი რომ ეს მისი უფლებაა და მეორე მას უთუოდ ყოველ პიესაზე თავისი აზრი, გეგმა აქვს შედგენილი და თავის გემოვნებაზედაც უნდა დადგას პიესა. ჩვენ არამც და არამც არ უნდა ჩავერიოთ მის მოქმედებაში, უკეთუ მართლაც რაიმე დიდს უსამართლობას, ან უგემურობას არ მოახდენს. ესეც კია... დღეს როგორდაც გუნებაზე ვერ იყო რეჟისორი... ბევრი რამ არ უთქვამს ჩვენთვის... შეიძლება ეს დაღალულობის მიზეზიც იყოს... სეზონი უკვე მიიწურა, კაცი დაიღალა.—მართალია, რაღა დროს ახალი პიესის მზადება იყო ამ მიწურულზე, მაგრამ, ხომ იცით, აქ ნივთიერ მხარესაც მნიშვნელობა აქვს... ნინოშვილის სახელი... ახალი პიესა... კარგ შემოსავალს მოიტანს... ან ეგეც შეიძლება რეჟისორს პიესა არ მოსწონს... მაგასაც აქვს თავისი მიზეზი. არ შეიძლება რომელიმე ადამიანი, რა გინდ ესთეტიურად განვითარებულიც იყოს, ყველა ხელოვნურ ნაწარმოების განსახიერებას ერთნაირის ხალისით შეუდგეს... ხომ იცით, რომ თვით ტოლსტოიმ შექსპირსაც კი დაუწუნა ხელოვნება...

—წამოდი, კაცო!—ჩასჩურჩულა ყურში ანდროს სკვინჩაძემ და ხელით თეატრის კარებისკენ გაიყვანა.—რა ყურს უგდებ მაგას... ყბედია ჩვენი სოსო!... აგერ თხუთმეტი შაური მაქვს, წავიდეთ „ანკარაში“, ისეთი სადილი გაჭამო, რომ...

ანდროც თითქო უნებლიეთ დაეთანხმა სკვინჩაძეს და კარში გამოჰყვა.

გარეთ ქვაფენილზე ერთი დამსახურებული მსახიობი შემოხვდათ.

— მაშ თამაშობთ, რაღა, ახალგაზდებო!—შესცინა უხუცესმა მსახიობმა ანდროს და სკვინჩაძეს.—რეპეტიცია გაგითავდათ? რათ არ იშლებიან?

სკვინჩაძემ უამბო უხუცესს სოსოს მეევრმეტყველების ამბავი.

უხუცესმა გაიცინა.

— გადით თქვენი..

აქ თავი შეიკავა დამსახურებულმა მსახიობმა.

— ეეჰ, თქვე საწყლებო!..რა ეშველება ჩვენს სცენას, როდესაც მე აღარ ვიქნები? და შეაჩერდა ახალგაზდებს.

ახალგაზდებს დაეტყოთ, რომ ამის პასუხი მზათ არა ჰქონდათ და ესეთის უბედურებით დანაღვლიანებულმა, მოკრძალებით თავი დახარეს.

სცენაზე კი, აუდიტორია თუმც შეუმცირდა სოსოს, მაინც განაგრძნობდა ახალგაზდების გამხნევებას.

[illegible]

(შემდეგი ჭინება)

ქართველი კუპრინის „ორმოში“ („Яма“)

მსურს შეგვეხო რუსული დიტერატურის უკანასკნელს „მორიგ სენსაციურ“ ნაწარმოებსკუპრინის „ორმოსა („Яма“),—შეგეხო განსაკუთრებით მეორე ნაწილს და ისიც იმდენად, რამდენადაც მასში დასურათებულია ქართველი. ეს ჩვენთვის არ არის მოკლებული ერთგვარ ინტერესს, მეტადრე ეხლა, როდესაც დიდი და ბატარა ერთა შორის ადამიანურ განწყობილებას გვპირდება ..

როგორც მხატვრული ნაწარმოები, ბ. კუპრინის „ორმო“ მეტად უფერულია, და ავტორის სახელზე მეტად დიდა დგას, მაგრამ მისი გარნეგა-დაფასება არა გვაქვს მიზნად...

„ორმოში“ აწერილია რუსეთის „კანონიერი სიმრეში“—სასოსიანობები, ამ ორმოთა მოელი უწმინდურობა, სახოგადოების ცოდვა-კეთილშობილობა და სხვა... ეი ამ სახოგადო კეთილშობილობაში ერთს სტუდენტს (დიხანინს) რაინდული გრძნობა კეკლუცობენ და ერთს მეძავ ქალს (დიუპას) კამოსხენის „ორმოდან“, მიიყვანს თავისთან, როგორც „ადს—ამხანაგს“, მაგრამ იმავე დღიდან აქცევს თავის სუფეარდად და სხვა...

მეძავი დიუპას კამოადამიანება, რასაკვირველია, ძნელი საქმეა, და დიხანინიც ამ ძმამე მოგალების ასარულებლად სთხოვს დასხვარებს თავის ამხანაგ სტუდენტებს—სოდოგოვს, სამანოგასკის და ქართველს თავად ნიკარაძეს; ეს უკანასკნელნი სთანხმდებიან დიხანინს, ჭეშეალიან რწეეთ, საქმით და ეი ამ ოანამშრომლობაში ირეკვეა მათი ფიზიოგნომია.

სტუდენტი ნიკარაძე ერთად-ერთი ქართველია ამ ნაწარმოებში, და ბ. კუპრინიც მის სურათ-ხატებაში ეეეეგან ხაზს უსვამს ქართველი ადამიანის დამახასიათებელს თვისებებს, რასაკვირველია, როგორც ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისაკ ლევიტანი (1891—1900—1918)
რუსთა მხატვარი, გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო

რომ დვინის ტხვრის ტყავის (овчиной) სუნი ასდიოდა! კაცჩდებენენ ქართულ სიმღერებს, უბირეულესად, რასაკვირველია – «Мраволь джамиемъ"-ს,.. „თომაზდ" (томада) თითონ ნიყარაძე იყო ხოლმე, რომელიც ადფროოვანებული სხვანა-სხუპეთ (около трехсотъ словъ въ минуту) და კაკაკსიური აქტენტიო (съ цоканьемъ и гортанными звуками, похожими то на харканье вальдшнепа, то на орлиный клекотъ) სულ ერთსა და იმავე „მონოდოგსა" იმეორებდა, რომ „Грузія самая прекрасная, самая плодородная, самая передовая, самая рыцарская и въ то же время самая обиженная страна"... თავის ადფროოვანებულ სიტყვებს ნიყარაძე უხვად ამკობდა „ვეფხის ტყაოსანსა" ტიტეტებით და ამტკიცებდა, რომ ეს ბოემა ათასჯერ მაღლა დგას „всего Шекспира, умноженнаго на Гомера"...

ნიყარაძე დარწმუნებული იყო (до глупости) თავის მოძღვრებაში სამშვენიერეში და ასეთი რუსული ენით დაბარაკობდა: „Це-це-це... вай, вай! Замэчательный женщына! Ка-акъ она на меня посмотрѣла! Захочу — моя будетъ!.. Отъ тэбэ убѣжитъ, душа мой"... და სხვა...

არც ამასა ჭფარავს ბ. კუბრინი, რომ ნიყარაძე მართლა დიდ შაბეშდიდებას ახდენდა რუს ქალებზე: „!Швейки, модистки, хористки, кондитерскія и телефонныя барышни таяли отъ пристальнаго взгляда его тяжелыхъ, сладкихъ и томныхъ черно-синихъ глазъ," თუმცა „немножко бараныхъ"...

ასეთი კახლავთ ბირდაბირი დახასიათება ქართველი სტუდენტისა ბ. კუბრინის შემოქმედებაში. ეხლა ვნახოთ, რა სახეს ანძღვრავს ნიყარაძე თავისი მოქმედებით (უფრო სწორედ—ბ. კუბრინის სურვილით) ქართველ სტუდენტს...

დიხონინი გაგმირთავს თათბირს გეგმის შესაგებენად, თუ როგორ განსაზეტაკან მეძავი დიუბა და ადამიანად აქცეთან ეს გარეგნიდობაში ჩთრეული სოფლის ხეპრე გოგო. ეს დიდებული თათბირი შემდეგ გადაწყვეტილებას ადგენს: თვით სტუდენტი დიხონინი კისრულობს ანკარიშის, ისტორიის და გეოგრაფიის სწავლებას; სტუდენტი სოდოვიოვი—წარკითხვის და გრამატიკისას; სტუდენტი სიმანგასკი—ფიზიკის, ქიმიისა, ქვეყნიერების წყობილებისას და... მარქსის თეორიისას...

დარჩა თავადი ნიყარაძე, ბაგრამ ქართველმა სტუდენტმა „ничего не знаетъ;" ამისათვის ნიყარაძე ჭნარდებით უკითხა „ვეფხის ტყაოსანი" (ეს დიუბას!!.) და ასწავლა აგრეგვე ბეტარაზე, მანდოლინაზე და (ამა, დიდი ტაში!) — **ზურნაზე!**

თავლებზე ხელს ნუ ისვამ, მკითხველო, —სწორედ ასის დაწერილი: „ვეფხის ტყაოსანი" და ზურნა!..

პირველი ბეწერთ, და მეტს ხიფათში ადარ ჩაგიგდებთ — კმარა!

ნ. ფიცხელაური

(დასასრული იქნება)

წუთები ცხოვრებისა

— „შვილო, შვილო!.. „გაისმოდა შვილის სიკვდილით გულდათუთქული დედის მწარე ქვითინი, „შვილო!.." სწუხდა დედა... მწარე ცრემლებს აფრქვევდა ..

მწუხარება იყო ჩაქსოვილი მუსიკის მკვნესარე ჰანგებში... კვნესოდა მუსიკა... სტიროდენ ათრთოლებული ხმები.

ხალხი ნელნელა მისდევდა ახალგაზდა ვაჟის ცხედარს. მისი ამხანაგები გარს ეხვიენ უდროოთ დაკარგულის კუბოს და მდუმარებით მოცულნი მიყვებოდენ მას. ჩაქრა უდროოთ ლამპარი ცხოვრებისა... სიკვდილის ბასრმა ცელმა გასჭრა ძაფი ახალგაზრდა სიცოცხლისა. ახლად გათხრილი სამარე უცდიდა მას. გაუმაძღარი მიწა ელოდა თავის შვილს.

აი სასაფლაოც...

შესწყდა მუსიკის ხმები. შეჩერდა ხალხი და, თავმოხდილი, საფლავთან გაჩერდა...

დედის გულშემზარავი „შვილო“ ისევ გაისმოდა ირგვლივ...

—

— ბიკო, ვასო!.. მგონია ვიღაცას ასვენებენ.. გაიტანე ერთი დოქი წყალი... სიცხეა.. იყიდიან, იქნება ორი კაპიკი აიღო, უთხრა პატარა ვასოს მამამ...

ვასომ უცბათ ავსო დოქი ცივი წყლით, წამოთავლო ჭიქას ხელი და გაექანა სასაფლაოსკენ...

—

— „საუკუნოთ იყოს ხსენება მისი“... გაისმის სამლოცველო ხმები.. სამგლოვიარო ჰიმნს უკრავს მუსიკა... ყველას ცრემლი მოსდის... „შვილო, შვილო“ ქვითინებს გულდამწვარი დედა.

— ცივი წყალი, აბა კარგი ცივი წყალი, ბატონებო, გაისმის ვასოს ხმ...

— ცივი წყალი...

ის გარბის ხალხში და აგროვებს კაპეიკებს.

დაიშალა ხალხი.

—

— იშოვე, ბიკო, რამე? ჰკითხა მამამ ვასოს.

— აი, და მან სიცილით დაირტყა ჯიბეზე ხელი...

აი—ერთი, ორი, სამი... ერთი აბაზია სულ...

— ბიკოს... გივარგია. წადი და იყიდე ახლა ის რვეული გუშინ რომ მთხოვდი... წადი.

ბავშვი სიცილით გაექანა დუქნისაკენ რვეულის საყიდლათ...

მახლობელ სასაფლაოდან კი ისევ მოისმოდა ქვითინი და გოდება ბედშავ დედისა..

— შვილო, გენაცვალე, შვილო!..

ირინეკ

სამშობლოს გმირი

(მოთხრობა)

„ხუთშაბათს შუა დღეზე ჩამოივლის მატარებელი ჯუმათში და იმას ჩამოჰყვება ივანე; კარგი იქნება, სადგურზე დაუხვდებოდეთ, რადგან ივანეს მარტოკა ამოსვლა სახლში არ შეეძლებაო“.

ასე მოსწერა ივანეს ოჯახს ამხანაგმა ჯარის-კაცმა.

ივანეს ცოლ-შვილმა იცოდა, რომ მძიმედ დაჭრილი ივანე საავადმყოფოში იწვა.

— რადგან სიკვდილისგან იხსნა ღმერთმა, ახლა აბა რაღა უქირს, ოშპიტალშიკი მოარჩენენ,—იმედობდა ივანეს ცოლი კესარია და დღითი-დღე ელოდებოდა—აჰა, მივიღებ ჩემს შავრიოზაისგან წერილსო. მაგრამ ივანე წერილს არ სწერდა, სულ ამხანაგს აწერინებდა, და ამ გარემოებას, ცოტა არ იყოს, ეეჭვში შეჰყავდა კესარია.

— ალბათ სუსტათ არის და იმიტომ ვერ იწერებაო,—აქაც იმედობდა ის და ზოგჯერ კიდევაც ხუმრობდა მეზობლის ქალებთან:—იქნება, ქალო, ი რაცხა წითელ-ჯვარიანი ქალები რომ ყოფილან, იგენს ეარშიყება ივანე და მე კიდეც დამივიწყაო.

— აუ, შავ,—ეტყოდნენ ხოლმე ქალები,—შენი შავრიოზა—ქაჩალაის მეტი მოიწვა კაცი მიწაზე?

ერთს წერილში ფრიად სასიამოვნო ამბავი ეწერა:

— ივანემ სისხლის ჯვარი მიიღოო.

ძალიან გაახარა ამ ამბავმა კესარია; თვითონაც დაუმატა მოწერილს და ასე უამბობდა სხვებს:

— თურმე ივანეს თვითონ პომპოლიკმა ჩამოჰკიდა სისხლის ჯვარი... თვალს დასთხრის მეზობლებს, რომ ჩამოვა ივანე ჯვარიანი. ალარ გახლავს ახლა იგი ივანიკა-ქაჩალაი — პირველი სამამასახლისო პენციიანი კაცია, — დიდგულობდა კესარია სოფელში.

ხშირად სწერდა ივანეს კესარია წერილს და ატყობინებდა სახლის ამბავს, თუმცა სასიამოვნო არაფერი ხდებოდა სახლში.

ხან მისწერდა:

— საწყალი კამუშაი ხრამში გადიჩეხა და კისერი მოიტეხა.

ხან ასე:

— ღომის ნალიე რომ იყო ფაცხასთან, ქარმა წააქციაო.

ხან კიდევ ასე:

— „სტრაჟები“ იარებიან, საყანურს თხოულობენ, და ჩვენ სიმინდი ზაფხულობამდი არ გაგვყოფაო.

დედის წერილზე შვილებიც მიაწერდნენ რამოდენიმე სტრიქონს.

გაზაფხულზე ათი წლის სანდრომ მისწერა მამას:

— თოხი გავალესეე და გავაპარპალებე მეედელს, რომ ჩამოხვალ — სამარგალელი სიმინდი დაგვხვდება ზეგაში.

შვიდი წლის ბენია სწერდა:

— ღომის სათოხავი ნაყუალი თოხი რომ არის, მე იმას ტარს გაუკეთებ და სანდროსთან ვფუგნი ყანას.

ოთხი წლის თამრო უმატებდა ბოლოს:

— მე ყანას დავცავ, ქათმებს არ ჩავუშვებ შიო, მარა შენ, ჩემო ბაბა, წითელი პელანგი ჩამომიტანე — მე სულ ტიტველი ვარო.

გაბრიელ გოგუაძე

(შემდეგი იქნება)

ღამის მგოსანი

(გალაქტიონ ტაბიძის ლექსები)

(გაგრძელება. იხ „თ. და ც.“ № 29)

მგოსნის გულდანი სიმდერა ოდნავაც არ ატარებს მარადიულობის ძიების ბეჭედს, პირიქით, მას ეს ცხოვრება, როგორც ლაუდგრილი ცვალებადობა და გარდაქმნა, ისე აქვს წარმოდგენილი, ერთფეროვნება და მუდმივობა, მგოსნის ისევაც მწუხარე გული, მოწყენილობით ავსებს:

„მაგრამ, ჰე, სულო, ერთფეროვან
ბრწყინვალებაში
თუნდაც ედემში რა იქნება შენთვის ახალი!.“

მგოსანს უფრო წუთიერი ატანებს „მოელვარე ცის კიდურში კამეტებებს ხალმე წუთია“. და იგი წუთიერი კატაკლიზმებიც მგოსანს მეტ შვებას ანიჭებს, ვინემ მარადიულობა. სიუდიდე ბრიუდობის სუვდით სავსე ლექსი ეჭვს ბერეშეა, მგოსანს უფრო მეტ ადრეკილებას ავრძობდებდა:

„ამ სოფლად ხმება იასამნი და ფრინველია ბალობაც ხანმოკლეა
ამ სოფლად, ტუჩი ტუჩს ოდნავ ეწაფება...
ამ წუთი სოფელში ყველანი დასტირიან ზოგი მეგობრებს, ზოგი საყვარლებს...
იგი კი ოცნებობს იმ გვარ კოცნაზე, რომელიც სამარადისოა... იმ გვარ ზაფხულზე, რომელიც სამუდამოა... იმ გვარ კავშირზე, რომელიც მარადიულია...“

მარადიული ეოცნა... მარადიული სიყვარული... მარადიული კავშირი...

ტაბიძის ტრაგედიას ჩვენი ცხოვრების წუთიერობა კი არ შეადგენს, არამედ მისი გამოუცნობლობა, მისი ბურუსით მოცულობა. სიკვდილი მით უფრო საზიზღარია, რომ იგი შავი გამოუცნობი მანტიით არის მოცული: არ იცი კაცმა სად მიდიხარ, არ იცი, სამუდამოდ კვდები თუ კიდევ რჩები რაიმე შენი ბიროვნების და შეკვდარი უკანასკნელ მოთქმასა და ცოცხლების ძახილს შუა ადმართულა:

„ჩაბნელებული უფსკრული შავი,
სამარადემოდ დაუნახავი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მაჰმადიანები (აჭარლები)

სულეიმან ადა საქარაძე

უსუფ ბეგ ადაბ-ადა-ზადე წულუკიძე.

უედეშ-ადა საქარაძე

და მარდალც ადამიანი მოკლებული ეოველ-დიეე მარადიეულობას ვერ ეერეგდება სიკვდილს კი არა, არამედ კიდეკ ეეერო ეკვლაკვეებას, საკენო ცხოვრებას. მას ეეინის სიკვდილის შემდეგ ეცნობას მხარის: ვაი თუ კვლავ ვერტეეერის მოწვენებანი და დღიური სიცხადის სიზმრები დაეხატოს, ასეთიეე შიშს აგრძნობინებდა სიკვდილის ტეეი სიდეემოდეა ჭკმლეტს: „და მხოლოდ შიში სიკვდილის შემდეგ, მხარე ეცნობი... სიდგანაც მგზავრი დაბრუნებული ჩვენ არ გვინახავს, აშინებს ნებას“

ვინ იცის, იქნებ ცხოვრება მით არის შემზადვეული, რომ იგი სავსეა წეოიერი კონტრასტებით? შეა დღის მეხუნვარე მზეს სადმოს სეედით სავსე ბინდი ცვდის, დიდის ცვრით დანამედი ვარდის კეეური სადმოს მშრალ ფერფლად იქცევა; ადქოფებულ მდინარეს მდოვრე და ეემოძრაო ზღვა სვამს; სიეეარეედის ბირეულ ამბორს მშრალი ანკარაში ცვდის; გულებრეეიდო ბავშობის,—სეეპტიკეი და ეენადი სიეეაკცე; სიცოცხლის დედეთ სავსეს—მოდეენებული სიკვდილი. დაიდ, ცხოვრება სავსეა ქადური წინააღმდეგობით და იგი მხოლოდ კარდაქმნაა, მოძრაობაა და მასშია მისი სიმშვენიერე და სიმახინჯეც.

მიხ. აბრამიშვილი

(შემდეგი იქნება)

ეკლესიისა შესავალთან

(მიბაძვა)

ეკლესიისა შესავალთან ზის მათხოვარი,
დაფლეთილ კაბით, ჩამომდნარი და ფერმიხდილი.
მოწიწებითა ის შესაქერის გამვლელ-გამომვლელს,
მოწყალებისა მისაღებად ხელ-გამოწვდილი.
დიდათ მორთული, მობრძანდება ვიღაც ბატონი,
ოქროთ ნაქედი ყავარჯენი უბრუნავს ხელში...
მისი დანახვით მათხოვარის გული შეტოკდა,
ყოფილი სატრფო იცნო იმან ამ სამოსელში:
—შემიწყალეეი... მოიგონე ჩვენი წარსული...
ნუ თუ ვეღარ მცნობ... ეხლა ბედით განაწყალებსა?..
—„ჯანიც გაგვარდეს, მე რას გიცნობ ოხერტიალსა“,
ეს უპასუხა ცრემლით სავსე გლახის თვალებსა.
წყევა და კრულვა მიაყოლა მას მათხოვარმა
და შესაბრალად გადიშლართა გონ დაკარგული...
ის კი ამაყად, მედიდურად ეტლში ჩაბრძანდა,
განცხრომის მონას, უმადურად უცქმდა გული.

მ. ველისციხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ირეთელი

ბედნიერი დღე*

კომედია 3 მოქმედებად

მოქმედნი პირნი

სალომე შლაპკიძისა—ქვრივი 50 წ.
აპოლონ—ამისი შვილი, ინტელიგენტი, 36 წ.
ეგნატე პუწკაშვილი—ფოსტის მოხუდე, სამსახურიდან გამოსული, 55 წ.
თენგრო—ამისი ცოდი, 40 წ.
სონა—ამათი ქალი, 25 წ.
ილარიონ ფუტურიძე—აპოდონის შეგობარი, ინტელიგენტი, 35 წ.
კოტე, სანდრო, გიორგი—ქართველი ინტელიგენტები 39 წ. 43 წ.
სერგო—სალომეს მოსამსახურე ბიჭი.
მელანო—ეგნატეს მოსამსახურე ქალი.
სეკუნდანტები.
ორი ბიჭი და სხვა.

მოქმედება პირველი

აპოლონის კაბინეთი, ლამაზად მორთული. კედლებზე ჩარჩოებში ჩასმული სურათები რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ილია ბავტავაძის, ნ. ბარათაშვილის, ალ. ყაზბეგის და სხ. ერთ კუთხეში მოზრდილი სამწერლო მაგიდა. ზედ არეულ-დარეული ჭყრია ქაღალდები, წიგნები და სამმატეარო მასალა. მაგიდასთან ზის აპოლონი, ეილეტის ამარა. მის შორი-ახლო სკამზე ზის სალომე, რომელსაც აპოლონი ხატავს.

I

აპოლონი და სალომე

სალომე (ქართულად კოხტად, მორთული ზის სკამზე წელში გამართული, ხელები მუხლებზე უწყვია და ტუჩ-აბრუწვით აპოდონს მისჩერებია. აპოდონი წამდაუწუმ კადმოხედავს და ხატავს. უცბად სალომეს რადაც გაახსენდება, მუხლებზე ხელს დაიკრავს) უი! ჩემს თვალებს! (წამოხტება და კარბის კარებისკენ) სერგო! სერგო! ბიკო სერგო!

აპოლონი (შეშფოთებული, მეტად სერიოზული სახე აქვს. მოიხედავს, დანახავს, რომ სალომე კარებისკენ მირბის, წამოხტება და დაიჭერს. გაბრაზებული) რა არის, დედა ჩემო, ლამის ტკეცილან შემშალო. რა მოხდა? დადექ პატარა ხანს. (მიეუყანს, სკამზე დასვამს. მაგიდასთან მიეკ და ხატავს)

სალ. (დაჯდება. საშინლად სწუხს) შვილო, სამოვარი სდუღს და ბიჭს უნდა დავუძახო. (მაბრუნდება კარებისკენ, აპოდონს ზურგს შეაქცევს)

აპოლ. (წამოგაჯდება კაბრაზებული, მიგა და მოაბრუნებს.) არა, რას მიშვრები, დედა-ჩემო, თუ იცი! შენ ნამდვილად გინდა გამაგიჟო. მე შენს პირი სახეს ვხატავ და შენ კი ზურგს მიჩვენებ. (ადგრსით) კოტა კიდევ, დედა ჩემო, და გავთავებ. (მიგა მაგიდასთან და ხატავს)

სალ. (წუხს) აღარ შემიძლია, შვილო, განმათავისუფლე. დილას აქეთია ასე ვწვალობ და მეტი აღარ შემიძლია. ხან წაღმა მაბრუნებ და ხან უკუღმა. მოვკვდი, ძალა აღარა მაქვს. ის ოხერი სამოვარიც შემოსატანია. ჩაი მაინც არ გინდა?

აპოლ. (აკანკალებით) საკვირველია, დედა ჩემო, როცა ხატვის ან წერის ხალისი მაქვს. სამოვარი და ჯამ-ჭურჭელი მაშინ მოგაგონდება ხოლმე. (დამიდით) არ გაინძრე, დედა, თორემ შენს სამოვარს და ჯამ-ჭურჭელს სულს ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ. (ხატავს)

სალ. (წამოიწევს და ისევ დაჯდება. ნელის ხმით ძახის ბიჭს) სერგო! სერგო!

აპოლ. (მოიხედავს და შეუბღვერს) სწორედ დაჯექ! (ხატავს) კოტა კიდევ და გავათავებ, არ გაინძრე! (ხატავს)

სალ. (ვეღარ ისვენებს სკამზე. ძახის ბიჭს.) სერგო! სერგო! (შემოდის **სერგო**)

---

* Настоящая пьеса, подъ заглавіемъ „Счастливый день", соч. П. Иретели разрѣшена Намѣстникомъ Его Императорскаго Величества на Кавказѣ, для представленія на сценахъ края (Отзывъ Канцеляріи въ № 31156,—913. 11 декабря 1913 года. Гор. Тифлисъ.

И. д. Предсѣдателя Комитета *Б. Колобовъ.*
Секретарь *Ал. Гусевъ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

აპოლონ, სალომე და სერგო.

სერგო (სავდომეს შარი ახდომს კანერდება) ბატონო!

სალ. (უნდა მიიხედოს სერგოსკენ, მაგრამ თანაც ეშინია, ცადი თვალდით შეხედვს და ჩუმად ეკითხება) სამოვარი როგორ არის?

სერ. (დამიდით) კარგად გახლავთ, ბატონო!

სალ. (ტოტათი მიაბრუნებს ბირს და კაჯაურებით) სერგო!

სერ. (ხმა მადდა) ბატონო!

აპოლ. (მიიხედვს კაჯარებული და დანახვსა სერგოს) დიაკარგე აქედან! (სერგო კადის სიდიდით) სწორედ ქლექს გამიჩენ, დედა-ჩემო; რა გაგიჩნდა, ეს ოხერი საშოვარი?! ერთ წუთს არ შეგიძლია მოისვენო?

სალ. (წუენიათ) ერთი წუთი კი არა, შვილო, დილას აქეთია ასე მაწვალებ, აგერ შუადღე შეიქნა, გაათავე ჩქარა.

აპოლ. (მოგა მაკიდასთან) ახლავე გავათავებ. (შუხედვს) თავი სწორედ დიეჭრე. (სადომე კანზე მიაბრუნებს თავს) სწორედ! ახ, ღმერთო! (მოგა და კუსწორებს თავს) აი, ცოტა ხანს აგრე დადექი და ახლავე გავათავებ. (მოგა მაკიდასთან და სტაკვს)

სალ. (სწუხს, ცადი თვალდით კახეცდვს კარებისკენ და ეძახის ბიჭს) ბიკო, სერგო! (შემოდას სერგო)

III

სალომე, აპოლონ და სერგო

სერ. (სიტდლს ძდიგს ამაკრებს) ბატონო!

სალ. (ცადი თვალდით ეზადრნს უეურებს) სამოვარი შემოიტანე!

სერ. ბატონი ბრძანდებით. ახლავე! (მადის კარებისკენ)

აპოლ. (უცბად მიეხედვს და კაბრაზებული) ბიკო! სერგო!

სერ. (კაჩერდება) ბატონო!

აპოლ. ეხლავე სამოვარი დაკალე. ჩაი ალარ გვინდა!

სერ. ბატონი ბრძანდებით, ეხლავე! (კადის სიდიდით)

სალ. (სწუხს, მაგრამ ხმა ვერ ამოუდია. ცდილობს თავი სწორედ დაიჭირის. მწუხარედ) მერე ჩაი ალარ გვინდოდა შვილო?

აპოლ. (ბრაზიანად) არ გვინდა!

სალ. შენი ნებაა, შვილო!

აპოლ. (სტაკვს) კიდევ ერთი წუთი და გათავდა. ეჰა! (გაუს-გამოუსვამს ნახშირს) გათავდა. ახლა რაც გინდა ის ქენი. (წამოდგა, ბიდგებს სუფთის და უეურებს) უჰ, რა მშვენიერია. (დანახვსა რომ სადომე ისევ ზის, სიტიდით) ეხლა ალარ დგები?

სალ. (წამოდგება და ამოიხვნეშებს) მაღლობა ღმერთს! მე კი ასე მეგონა კიდევ ხატავდი. თუ აგრე ადრე გაათავებდი, შვილო, სამოვარი რად დაიკლევინე?

აპოლ. (დამიდით) იმიტომ, რომ სწორედ ვერ იჯექი. მე შენ დაგსაჯე დღეს და უჩაიოდ დაგტოვე (წაიდგეს სუფთის და ჩამოჯდებს კედელზე შოთა რუსთაველის კგერდით)

სალ. (მადის კარებისკენ) წავიდე, ისევ დავადგმევინო სამოვარი.

აპოლ. (გაჯერებს) დაიცა! არ ნახავ ახლა შენ სურათს? მოდი ნახე რა მშვენიერებაა! ხედავ რა დიდებულ კაცებთან ჩამოვკიდე? (მიეფეგნს სურათთან)

სალ. მშვენიერია! მშვენიერია! (ამოოხვრით) ნეტაი, შვილო, ეს ნიკი ადრე გამოგეჩინა, მამიშენის ლამაზი სახეც დაგეხატა.

აპოლ. (დამიდით დადის) ბარემ კარგი იყო, მაგრამ განა მაშინ შეიძლებოდა რაიმე ნიკის გამოჩენა? მთელი ამდენი ხნის განმავლობაში რაღაც სულელურ წიგნებით მიტევნავდნენ თავს სასწავლებელში. ნიკის განვითარება მაშინ შეიძლება, დედა ჩემო, როცა თავისუფალია ადამიანი და აპეკუნი არ ჰყავს ვინ იცის რამდენი ტალანტი იღუპება ტყუილა-უბრალოდ.

სალ. (თავს უქნევს, თითქო კაიგო ეზადნის სიტყვები) მართალია, შვილო, მართალი.

აპოლ. (დამიდით) მაგრამ არა უშავს, დედა-ჩემო, ჯერ კიდევ გვიანი არ არის, კიდევ მოვასწრობ, ჩემმა ნიშმა ფრთა გაშალოს, გაზეთებმა უკვე ლაპარაკი დაიწყეს ჩემი ნახატების შესახებ.

აპოლ. ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი ეს მითხარი, შვილო, რა გამოვა **ჰქედან?** ფული იქნება?

მსახიობი ნიკო გვარაძე
დ. ხონის თეატრის რეჟისორად მიწვეული

აპოლ. (დამდალით) შენ სულ ფულები გაგონდება, დედა ჩემო! რა შავ ქვად გინდა ფულები. სახელი სთქვი, სახელი, განა სახელის რამე სჯობია?

სალ. (დადონებით) მარტო სახელი არ კმარა, შვილო, ფულებიც საჭიროა,.. ან სამსახურში შედი, ან ისევ ადუკატობა დაიწყე, აგრე არ ვარგა.

აპოლ. (ბრაზიანად) ხომ არ გამოსულელდი, რა შავ-ქვად მინდა სამსახური! მე მინდა საზოგადოებას ვემსახურო.

სალ. (წყენით) მაშ სანამდი უნდა გვეყოს, შვილო, მამიშენის შეძენილი ქონება, ეს ერთი სახლი და რამდენიმე დუქანი გვაქვს, ეს რომ აღარ იქნება, მერე რა უნდა ვქნათ? ცოლი არ გინდა, ოჯახი, მტერი და მოყვარე?

აპოლ. (სიცილით) ცოლი კი არა ცომი არ გინდა?

სალ. (დადონებით) მაშ ცოლი არ უნდა შეირთო, შვილო?

აპოლ. (იცინის) როცა დრო მოვა, შეიძლება შევირთო. წინ და წინ ასეთი რთული კითხვის გადაწყვეტა ძლიერ ძნელია.

სალ. (ტირილის ხმით) მე მინდა, შვილო, ჩემს სიცოცხლეში შეირთო ცოლი და ჩემის თვალითა ვნახო შენი ბედნიერება, თორემ მე რომ მოვკვდები, რაც გინდა ის ქენი.

აპოლ. (სიცილით) ჯერ ადრეა, ადრე, დედა-ჩემო!

სალ. რაღა ადრეა, შვილო, ოცდა თექვსმეტი წლისა ხარ და ასი წლისამ ხომ არ უნდა შეირთო ცოლი?

აპოლ. ჯერ მაგისთვის არა მცალია, დედა-ჩემო, ათასი სხვა საქმე მაქვს გასაკეთებელი. თუ შევხვდი ისეთს, როგორიც მე მინდა, შესაძლებელია შევირთო.

სალ. განა ცოლთან ერთად არ შეგიძლიან სხვა საქმე გააკეთო?

აპოლ. (შუა სავარძელში ჩასვამს დედას, თვითონ გვერდზე მოუჯდება) რა გინდა, რა, დედა-ჩემო? რა შავი ჭირი გინდა? გინდა ჩვენი მყუდრო ცხოვრება ავაფორიაქოთ, დავაყირაოთ?

სალ. (კოტეტებული) რას ამბობ, შვილო, მე მინდა შენი ბედნიერება, სხვა არაფერი.

აპოლ. (სერიოზულად) დედა-ჩემო, მე და შენ ჩინებული ამხანაგები ვართ, მეგობრულად ვსცხოვრობთ. ასეთი ცხოვრება მოგწყინდა?

სალ. უიმე! როგორ თუ მომწყინდა, შვილო? სიცოცხლე იმიტომ მინდა, რომ შენ გიყურო.

აპოლ. მაშ რად გინდა ჩვენი ოჯახი ჩხუბის ბუდედ გადაიქცეს?

სალ. მე ეს არ მინდა, რაებს ამბობ, შვილო?

აპოლ. მაშ რად დაგიჩემებია ცოლი და ცოლიო. არ იცი ცოლს რა მოჰყვება?

სალ. არაფერიც არ მოჰყვება, ოჯახი ოჯახს დაემსგავსება, მტერი გეყოლება და მოყვარე, მეც კმაყოფილი ვიქნები და ნასიამოვნები ჩავალ სამარეში.

აპოლ. (დამდალით) გაგიგონია როდისმე რძალ-დედამთილის თანხმობა?

სალ. რატომაც არა! შენ მაგისი დარდი ნუ გაქვს, ისე მოვეწყობით რომ ჩინებულად.

აპოლ. (ადგება) ყოვლად შეუძლებელია. რძალ-დედამთილის შეთანხმება არავითარ ძალას არ შეუძლია. მოვიყვან ცოლს, ასტუდება ჩხუბი დავიდარაბა და მშვიდობით საზოგადო საქმევ, მშვიდობით აპოლონ, მე თქვენ გაშველებას მოვუნდები.

სალ. შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, ოღონდ გამაბედნიერე, დამანახე შენი ცოლი და თავშიაც რომ ჩამარტყას — ხმასაც არა მოვიღებ.

ეპოლ. (დამიდგით) კარგი, დედა ჩემო, კარგი, ფუ ისეთი ვინმე ვნახე, რომ მომეწონა—შევირთავ.

სალ. (შადის კარებისკენ) ეჰ, ჩვენ ლაპარაკში გავეგებით და სამოვარი სულ დამავიწყდა. (ეძახის ბიჭს) სერგო! ბიჭო სერგო! (შემოდის სერგო)

პ. ირეთელი

(გაგრძელება იქნება)

ქართველები და ერთა სოლიდარობა

„Audiatur et Altera pars"—

მოწინააღმდეგე მხარესაც მოუსმინოთ.

ლათინური ანდაზა

I

ხელ-ახლა ადამრა ამაზე დაპირაკი, რაც ქართველ ხალხს თვით მისი არსებობის დასაბამითკენ ძალ-რბილში ჰქონდა და აქვს კაშკაშა. კავკასიის ერთა შორის ქართველების შეტად ბევრ საკუნში ჭონდათ უბირტესობა, მაგრამ ერთ სოდალრობაში კი ყოველთვის უბირველესი ადგილი ეჭირა: ისტორიას არ ახსოვს ქართველების უშუალობა ამ მხრივ. ჩვენს შეზობლებს არა ერთხელ უდალტნიათ ჩვენთვის, ყინ მოსთველის რამდენჯერ კუტეთ მათ ეს თავისუფლებ მოამაგე კეთილი შეზობელი და ხშირად უხვი მასპინძელი—ქართველი ერი. ბევრჯერ შელებიდა ქართველის კერა მისი შვილების უმანკო სისხლით და ეს, როგორც ვსთქვთ, ხდება ხშირად მისთვე შეზობლების მოხეებით, მაგრამ ქართველებს ეს არა თუ შეუნახავთ გულში ხანჯალ, არამედ ის ისევ ისეთი ერთა სოდალრობის მოტრფიალდ დარჩენილა, როგორც ყოველთვის; კიდევ მეტიც: ბევრჯერ თვით მოდალტა მომძის, თუ მეზობლის მოსარჩელ-ალ-ეკ კამოსულა.

ზოგი მოაზრე ამ ჩვენს ტრადიციულ ხასიათს ჩვენი ერის სიბეცეს, ზოდიტიკის უფოდანარობას აწერს, მაგრამ ჩვენი ხალხი ასეთს მოსაზრებას ვერ დაეთანხმება, რადგან იგი მეტად მადალ აუენებს ადამიანის ცხოვრებაში ზნეობრივ სთვალებს. მუდალ კი არ უთქვამს მეტნიერს „პატიოსანი კაცის ერთი წამი სჯობს უპატიოსნო კაცის საუკუნეს!" „ზე-კაცი მხოლოდ მაშინ ხარ—ამბობენ არაბები—როცა შენ არ ვძულს შენი მტერი, არამედ მხოლოდ გეცოდებიგი"! დიდ, ასეთი უნდა იყოს ადამიანის დანიშნულება პატიოსან გულში...

მაგრამ ასეთი უნდა იყოს მთელი ერი, როგორც ერთეული?.. ისიც მაშინ, როცა შენივ მეზობელი, უფალი ფეხის კალდგმაზე, კალდალტობს, კალეენის, კაკვწრეაებს და ჭალამის მოგსმაზ, კაკანაკალგურობს?!.

ეგებ ვინმეს ჭკონია, რომ ამას თვით ქრისტე კვაკვალებს, როცა ამბობს: „კიეუკარდეს მტერი შენი"-ო, მაკრამ არა, ის ამასაც ბრძანებს: „ამხილე მას თვითონ, ამხილებია მომძეს, მეზობელს, და თუ არ შეისმინოს—დაბერტეუ კალთა და კანშორდეო."

რას უნდა მიგაწერთო, თუ არ ერთა სოდალრობისთვის თავდალებას ჩვენი ქვეყნის შვილთა ესდენ წამებს?.. კმირი ბევრი კვეოდა, სისხლიც დალვრილა... კატაბრიობის საკურთხეველს ბევრჯერ შესწირია ქართველი ხალხის „მე". რა არ აკვიტანია, რა მსხვერპლი არ შეკვეწირავს ამ სასარკო ერთა სოდალრობისთვის, მაგრამ რამელი ერთი დაკვეესწავლეს ან დაკვეხსოგეს?... ნეტავ რატომ!!. სრულიად ბეცი და უსუსური უნდა იყოს კაცი, რომ ამის ვერ მიხვდეს, მით უმეტეს მაშინ, როცა სავსეა ჩვენი ქვეყანა ჩვენი ხალხის კულალან ამოსახეთქი ბრძნეული ანდაზებით: „ჯერ ოვო დათაკო—შერე ტოდო და შვილოოო.

თუ-კი შენ, შენი მოძმე მოსთესავ, შენივ ერის ნაწილი ვერ შეკითვისებია, ვერ დაკემარებია ურთერთშორის სოდალრობა, როგორდა კინდა ერთა სოდალრობის სართო სკალტობრიო ტაძარი ადაკო?!.. ზემოდ მოყვანილი ანდაზა, „ჯერ თავო და თავო—შერე ტოდო და შვილოო" თავის თავად ტალანქაა, მაკრამ, თუ კარკად დაკვეორდებით, დიდად საკულისხმოა, თუ შენი „თავო და თავო"—არაფერია—„ტოდო და შვილოო" რადა უნდა იქნეს?..

სასმაა თვით ჩვენ, ჩვენ ერს შორის არ დაკამყარებთ მტკიცე სოდალრობას, ისე ყოველი ჩვენი შრომა ამ დარგში მხოლოდ დანსეხოტურია, რასაც კიდევ კვამხელს ჩვენი ნიჭიერი მგოსანი კ. მაყაშვილი:

„წინ სამშობლოვ! შეასრულე რაინდული-
შენი ვალი!
„ვჰა, მსოფლიოს დამჩაგვრელთა, ვაჰ,
ცხვრის ფარათ წისქვილთ ბრალი!
„შეჯექ ცხოვან როსინანტზე, გადალახე
გზა სავალი...
„იქნებ სულის სილამაზემ მოგიპოვოს
მომავალი?!.“
„იქნებ?“—მაგრამ ამაზე შემდეგ.

იასე რაჭველი

ალექსანდრე ზაქარიას ძე როსტომაშვილი

მადლიერი ადამიანი

სოლომონ ქრისტეფორესძე კიპრიზოვი

უხვი შემწირველი და 13 ივლისს ვერაგულად მოკლული, რომელიც გასულ კვირას პეტრე-პავლეს სასაფლაზე დაკრძალეს, შთამომავლობით ბერძენი იყო. მისი პაპა კუნძულ კიპროსიდან საქართველოში გადმოსახლდა 18 საუკ. მიწურულს. თვითონ სოლომონი გორს დაიბადა, ქართველთა შორის აღიზრდა, კარგად შეისწავლა ქართული ძველი და ახალი მწერლობა („ვეფხის ტყაოსანი“ და „გურამიანი“ თითქმის ზეპირად იცოდა), სულით და გულით ქართველთ დაეზიარა და ქართულად ლექსების წერაც-კი დაიწყო. სრულიად არაფრის მქონემ—მეწერიმალობას მიჰყოველი, შემდეგ ღვინით ვაჭრობას, ორთაჭალის ყენაზე მიწა იყიდა, საკუთარის ხელით აშენა წვრილი ოთახები, ბოლოს მამულები მიუმატა და დიდი სახლები წამოჰქიმა. იყო ხელმოჭერილი, საქმის მუყაითი და თავისებური კაცი. ერთად-ერთ შვილს ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა, მაგრამ შვილმა სწავლა ვერ გაათავა. ხანში შესულმა—მა მოინდომა რაიმე კეთილი საქმით პატივი ეცა თავის მეორე სამშობლო-საქართველოსთვის; ერთხანად ფიქრობდა ქ. შ. ს. ს-ისთვის შეეწირნა თვისი ერთერთი მამული, მაგრამ ბოლოს განზრახვა შეიცვალა და ქართველ ქალთა „განათლების“ საზოგადოებას შესწირა ამ ჟამად 800 მან. ღირებული სახლი, რომლის ეზოშიაც გოგირდის წყლის ჭებია. ამ შეწირულების გამო ზოგიერთმა თანაზომეგობამ უსაყვედურეს—რაღა ქართველებს შესწირე შენი მამულიო?.. მაგრამ განსვენებულმა მიუგო: მე საქართველოში გავიზარდე, ქონებაც აქ შევიძინე და ქართველებზეა უპრიანიო.

განსვენებულის ნატვრა იყო, თვის მიერ შეწირულ სახლში ენახა სკოლა.

ამ უხვი შეწირულებით ს. კიპრიზოვმა „განათლების“ საზოგადოებას მკვიდრი სძირკვ ლი ჩაუგდო და მით თვისი სახელიც უკვდავ ჰყო გარდა ამისა თვისი ასეთი საქციელით მაგალითი უჩვენა ყველა იმ შემოხიზნულ ხალხთ, რომელნიც საქართველოს მიწა-წყალზე ცხოვრობენ, მდიდრდებიან და ქართველებს არა თუ მადლობას უხდიან კეთილი საქმით—ხშირად სწრილავენ კიდეც, უპატიურად ეპყრობიან, ცხოვრების სახსარს უსპობენ. .

როგორც შევიტყეთ, ქართ. ქალთა „განათლების“ საზ-ას განუზრახავს შემოდგომიდან პროფესიონალური განყოფილება დაარეფქნოს კიპრიზოვის მიერ შეწირულ სახლში ყველა ეროვნებათა ღარიბ ქალთა-თვის და აგრედვე რამდენიმე სდიპენდია დანიშნოს კიპრიზოვის სახელზე.

ქართველი ხალხი არ დაივიწყებს ამგვარ ადამიანთა და მუდამ მადლობით მოიხსენიებს...

საუკუნოდ იყოს ხსენებ ამისი!. *)

იოსეფ არიმათიელი

თელავის სცენა

(საზოგადო მიმოხილვა)

ჩვენი დამსახურებულ ძველ და ახალ სცენის მოყვარეთა წყალობით თელავის სასცენო ხელოვნებასთან ძალიერ ახლოს იდგა ბახთეოლის გვირგვინის ბრწყინვალე კარსკვლავი ლადო მესხიშვილი, სიფვროგ-ბაბუმეძე, დამსახურებული მსახიობი: ვ გაშერედ ,ქ, ლ. ,ეუფრედ, ელ.

*) აქვე საკმაოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი: ს. კიპრიზოვს დარჩა ცოლშვილიანი ერთი შვილი, რომელსაც მამის მკვლელობაში ბრალი დასდეს და ციხეშ ჩასვეს, მოხუცი დედა (100 წლისა იქნება), დ,დისწულები და ბლომა მამულები ორთაჭალაში. განსვენებული კიდევ ბევრ კარგს საქმეს ფიქრობდა, მაგრამ ბოროტმა ხელმა ამის აღსრულება არ აცალა.

ი—ელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრონიკაშვილი და სხვ. ესენი კახეთში უძღვნა ქართულ სცენას და სწორედ ამისთვის, ამ პირთ კანუწყვეტელი კაშირი ჭქონდათ თელავთან, რიგა ზაფხულობით სამშობლოში ბრუნდებოდნენ, მათთან ერთად გვესტუმრებოდნენ ხოდმე სხვა მსახიობიც და ზაფხულობით სისტემატურად იდგებოდა თანამედროვე და ისტორიული პიესები როგორც ორიგინალი ისე ნათარგმნი; „სამშობლო“ „ოდიმა“. „ურიელ აკოსტა“, „ედმოდკინ“, „ქ. ტოროვნინ“ და სხვ. ეს იყო ამ 10—15 წლის წინედ და შემდეგ თელავის სცენაზე ხანგრძლივ ჩამოვლა ფარდ და ბნელმა მოიცვა მისი ეულისები სასცენო ხელოვნების მხრივ. არა, ფარდა იხდების თუმცა ამეთაოთ, წარმოდგენებიც ამართების, მაგრამ იქ მოქმედობენ ზენი სცენის მოყვარენი, რომელთაც არა აქვთ არავითარი ორგანიზაცია და შემოვრესად რეჟისორი არა ჭვავთ და თუ ხან და ხან ამართება. ამასაც ეოველთვის შემოხვეითი ხასიათი აქვს ხოდმე. მართალია ამ ბოდო წელს თელავს ეწვია ქართ. დრამატიულ დასის მსახიობი თამარ გოგოდაშვილი და თავის ხელოვნური თამაშით არა ერთხელ შემოუარეთა მეფურებლები თავის კარშემო, მაგრამ ესეც ხომ ტხადია, რომ ერთი მერტხადი კაზაფხულელ ვერ მოიყვანს.

და თუ ხელოვნება დაკვშორდა. პანთეონის კარები დაიხშა და სცენაზე დამპარი ჩაქრა, ეს უმთავრესად ეგზოობის, სიშორის და ჩვენი პროვინციის ჩამორჩენის ბრალია. რაც შეეხება ეგზოობას, კახეთის რკ. გზის ამოძრავების შემდეგ, მას ადგილი ადარ ექნება, თელავი თბილისს ადვილად კავშირებენა, რაიც, სხვა სიკეთეთა შორის, იმის მომასწავებელია, რომ ამის შემდეგ ადვილი იქნება ჩვენკენ როგორც მსახიობთა მოგზაურობა, ისე ფექტორების მოწვევა და სხვა რეფერატების მოწყობა...

ეს უკვე ამ ზაფხულმა დაგვიმტკიცე რიგა თელავს ეწვიენენ თბ. დრ. დასის არტისტები ქ-ნნი: ნ. ჩხეიძე, ბეჭანიშვილი, ფუისპირელი, ბ-ნნი: ქორდი, კორაშელი, ახოსპირელი; ად. იმედაშვილს ამ დღეებში მოელიან. ამათ მიუმატეთ მსახ. თ. გოგოდაშვილი, ადგილობრივი სცენის მოყვარენი და კამოდის მთელი დასი, რომელიც მთელ ზაფხულის კანმავლობაში ეოველ შაბათს კამართავს წარმოდგენებს.

პირველი წარმოდგენა 24 ივნისს კამართა, დადგეს კარეეგის ცნობილი დრამა „უბედური ნაბიჯი“ და კომედია „ადტრაადდა ჯარა“. წარმოდგენამ საეროდ მშვენიერად ჩაიარა: რეჟ. ქორელის კამოცდილი ხელი აშკარად ეტყობოდა არა თუ მსახიობთა, არამედ სცენის მოყვარეთაც: ნ. ჩხეიძის ხელოვნურმა თამაშმა ხომ ისე ამოქმედა საზოგადოებაზე, რომ მესამე მოქმედების დროს არა თუ ქალებმა, მამაკაცებმაც-კი ქვითინი დაიწყეს. ნ ჩხეიძეს მსარში მისდევდნენ დანარჩენი მოთამაშენი, რომელთაც, სათითოდ რომ კვეარჩიოთ ზოგიერთი რამ ნაკლი მაინც ახდდთ, მაგრამ ეს ხომ საეროო ანსამბლს მაინც ხელს არ უშლიდა, რომ საზოგადოება ძალიერ ემეფოფილი დარჩენილიეო. ხალხი ბევრი დაესწრო. ქ-ნ ჩხეიძეს თავიდაი მაართვეს. წარმოდგენა მეტად ეგეინ დაიწყეს და პირველ საათზე კათავდა, რაიც საზოგადოებისთვის ძალიერ უხერხულია. იმედია შემდეგ თავის დროზე დაიწყებენ და ეფაშეებშიაც ასევე უნდა ანდანშონ. კარგი იქნება პროგრამებიც დაბეჭდინონ ხოდმე.

დავიწყებული

ქართველ მაჭმადიანთა ლექსი—

სიმღერა

(ნაწყვეტი)

თქმული საიდ ალინძის ბიჭარ

მე საწყალმა ვისა უთხრა
ჩემი გულისა დერდები?
ლამით გზაზე სიარულში
ბევრჯელაც-და გავგორდები.
ლალატობა რომ შამოვიდა,
ვერა კაცს ვიდარ ვენდობი,
ვეღარ შევალ ვერა სახლში:
დილა-საღამ ვზიავარ ტყეში.
ზაფთიებო გეტვეწები,
არ გამაგზავნოთ უქუმათში.
არავინ არ გადამარჩენს,
გამაგზავნიან სპირში...
...რა ბრალი მე დემეყარა!
მომიკვდა-და ჩემი ქალი:
აღარ მაქ შემოსავალი.
ღმერთო, შენ-ც გეტვეწები,
გემიყვანე ლამაზ დღეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სახიობა

საგურთალოს თეატრში 12 ივლისს ნ. შახნაროვის თავმჯდომარეობით შემდგარ საზოგადო კრებაზე (დასწრო 41 წევრი) განიხილეს გამგეობის მოხსენება, წარსული წლის ანგარიში, მომავალი ხარჯთაღრიცხვა, აარჩიეს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი და სხ. ძველ გამგეობის საქმე დაუწყვია სრულიად უქონებოდ 1915 წ. 15 თებერ. და 27 მაისამდე გაუმართავს 18 წარმოდგენა, 1 სეირნობა, 3. საფარაფისა (2 წარმდ.) და ვინარმანიძის (16 წარმდ.) რეჟისორობით, სცენის მოყვარეთა მონაწილეობით. შემოსავალი ჰქონია 1222 მ. 99 კ. გასავალი 1122 მ. 24 კ. ნაღდათ დარჩენია 100 მან. და მომავალი წლის თეატრის ქირაში გადაუხდია 75 მან. წარმოდგენები იდგამებოდა კვირაობით (2—ჯერ შაბათს). ძველმა გამგეობამ, რომლის წევრებიც, ორის გარდა, საბურთალოდან იყვნენ—თავმჯდ. ლუკა ბაქრაძე, წევრნი: ტ. ბურძგლა, მ. ლებანიძე, გ. ხეჩუაშვილი, გ. მამულაშვილი, პ. ხეთაგაშვილი, ივ. ქორფაშვილი—ახალ გამგეობას გადასცა 1500 მანთამდე ღირებული ქონება. (ამაშია შესული თავ.-ახნაურთაგან შეწირული 90 სკამიც). საზოგადო კრებამ დადგინა: 1) პრაქტიკული მუშაობისთვის ძველ გამგეობას გამოეცხადოს მადლობა, ხოლო დიდი შენიშვნა, რომ გამგეობის ნაოქმედარი იდეური მხრეს მოკლებული იყო; 2) ერთხმად მიღებულ და დამტკიცებულ იქმნა წარსული წლის [ანგარიში; 3) მიიღეს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა მცირედი შესწორებით (რეჟისორს ერთ დროოლ ჯილდოდ მიეცეს 100 მან. და აგრედვე სცენის მხატვრულ მხარის გასაუმჯობესებლად გადაიდოს თანხა). სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაში შემოსავალი 1420 მან. დაახლოებით ამდენივე გასავალი. ძველი გამგეობის წარდგენისამებრ სახ. კრებამ სპპატიო წევრებად აარჩია ვანო ვეფხვაძე (მუშა-მხატვარი) და ცნობილი ქველმოქმედი იაკობ ზუბალაშვილი. საზოგადო კრებამ დაადგინა: დამფუძნებელ წევრობის მსურველთათვის გადასახადი 1 მ, ნამდვილ წევრობის—50 კ. ახალ გამგეობაში აარჩიეს: შახნაროვი, ვეფხვაძე, ლაფაჩიძე, ხიზანაშვილი, ქორფაშვილი, ტყეშელაშვილი. მათ კანდიდატებად: კანიანი, ირეთელი, ყიფიანი; სარევიზიო კომისიის წევრებად: კასრაძე, ლელაშვილი, ვინარმანიძე. მათ კანდიდატებ დ: თოხაძე, ქორქაძე. ახალ გამგეობაში საბურთალოდან მხოლოდ ერთია, დანარჩენები ქალაქიდან (ორი აკლაბრიდანაკ-კი!. ახალი გამგეობა უკვე შეუდგა მოქმედებას: პირველი წარმოდგენა („საბედისწერო დამპარა") გაიმართება დღეს.

მპალოგბელი

ხელოსანთა კლუბში 17 ივლისს ვ. გუნიას თაოსნობით ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ წარმოადგინა „და-ძმა": ოტია ჯოლია—ალ. იმედაშვილი, მარინე—ქილარჯიშვილი, ფაშა—გედევანოვი, გაიოზი—ი. ეიგიძე, ადამია—ვ. გუნია. სცენის მოუწყობლობამ და ზოგიერთა მონაწილეთა სისუსტემ, გაუფერულა წარმოდგენა. დიდძალი ხალხი დაესწრო. უმეტესად ნოკარ-ხელოსნები.

—ნო—

ხარფუჩის კლუბის მამასახლისთა სამეჯოს, ბ. დ. დუმბაძის თავმჯდომარეობით, როგორც სჩანს, მტკიცედ გადაწყვეტია, გონიერული გასართობებით გაუმასპინძლდეს თავის წევრთა ოჯახებსა და საზოგადოებას: ევროპიელი თუ ჩვენებური მუსიკა, საღამოები, წარმოდგენა და სხ. მორიგეობით იმართება ყოველ ლამე ოთხშაბათს, 22 ივლისს ვ. გუნიას რეჟისორობით ქაოთ. მსახ. ამხანაგობამ წარმოადგინა ა. ცაგარლის „რაც გინახავს—ვეღარ ნახავ!" მონაწილეობდენ ტ. აბაშიძე, მ. ქილარჯიშვილი, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ალ, იმედაშვილი, გ. იორდანიშვილი და სხ. წარმოდგენა დროზე გათავდა (11ს.) რაც სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

—ლი

ხოლნის თეატრის სამართავად წელსაც აირჩა დრამ. ჯგუფის გამგეობა (ქ-ნი ე. ბახტაძისა—თავმჯდომარეზე, ბ. ბ. კ, უგულავა, კ. ქაცარავა, ნ. შადაკიძე, თ. ნადრეულიშვილი და გ. ბალაჩიკაძე კანდიდატებად: მ. ჯაკეპან ძე, გ. მებუკე და მ. ბახტაძის ასული). სეზონი გაიხსნა 14 ივნისს. მოწვეულნი არიან ქ-ნნი ნ. ჯავახიშვილი, ანიკო კაკეული, ბ-ნი ნ. გვარაძე. გამგეობის და არტისტთა პერსონალი შეუდგა ენერგიულ შრომას, და მართლაც ნაყოფიც მოიტანა: თუთხმეტი დღის განმავლობაში 4-5 არმოდგენა გაიმართა, ყველას ხალხი ბევრი დაესწრო და, რასაკვირველია, შემოსავალიც საუცხოო იყო. საქმის ასე კარგად დაყენებაში მეტი ღვაწლი მიუძღვის რეჟისორს ბ-ნ ნ. გვარაძეს.

გ.ხო - ლი

დ ზუგდიდში კვირას, 12/VII ადგილობრივ საკრებულოს სასარგებლოდ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „სოფლის გმირები", დრ. 4 მოქ. ირეთელისა. წარმოდგენა დაიწყო გვიან, 9½ ს სპრდონმა (კ—დია) გვარიანად შეასრულა როლი. კარგი იყო ანიკო (ქარ--სი), არ უშავდა ირაკლისაც (ჯ—ნია), მხოლოდ დედა (ხ—ისი) შესაფერი არ იყო. ტარიელს (კ—ცია) ტანადობა არ უვარგოდა, მასთან ნაბეტანს ყვიროდა. არ შვენოდა მოქმედება. ხეგებსაც, გარდა კნ. ბუსუსასი, არა უტირდათ, საერთოდ პიესამ გვარიანად ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ, მუსიკალურმა განყოფილებამ ძალიან ასიამოვნა დამსწრენი. წარმოდგენა გათავდა $12^1/_2$ ს.

დამსწრე

წვრილი ამგები

მსახიობი კ. მაჭარაძე, ბრძოლის ველზე დაჭრილი, სამშობლოში დაბრუნდა თვე-ნახევრით. იგი უმაღლეს ჯილდოზეა წარდგენილი.

ახალგაზდა მომღერალი პრაპ. დავ. აკოფაშვილი, რომელიც ოსმალეთის საზღვარზე მონაწილეობდა ომში, დაჯილდოვებულ იქმნა წმ. ანნას მე-3-ე ხარისხით.

საბალეტო სახლში ქართ. სახ. წარმ. მმართველ წრის საზოგადო კრება შესდგება ხვალ, 27 ივლისს სახალხო სახლში.

სოფ. პატარძეულის წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელიც რვა წლის წინად—მოძრაობის დროს - დაიკტა, ჯერაც დახურული და ადგილობრივი ინტელიგენცია თითქო არც კი ზრუნავს ამაზე. როგორც შევიტყეთ, ზოგიერთ პირთა თაოსნობით წიგნთსაცავის საკუთარი შენობა შეაკეთეს, წიგნები წესიერებაში მოიყვანეს და ახლა ფიქრობენ სოფლის განაჩენით ქ. ზ. წ. კ. საზ-ას სთხოვონ, თვითონ იკისროს ნება-რთვის აღება თვის სახელზე და წიგნთსაცავი გახსნას. ამ წიგნთსაცავის შენობა საკუთარი ხარჯით ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარელთა სასარგებლოდ

საქველმოქმედო საზ-ბას მიერ გამოცემული ერთღიური გაზეთი

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲗ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲡ

დღეს და ხვალ 26—27 ივლისს, ყველგან ისყიდება ქართ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

ᲐᲜᲣ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲔᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚ ᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲗᲐ ᲐᲮᲡᲜᲐ-ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად აწდიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ეურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ 1915 Წ.ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲪᲕᲘᲠᲘᲗᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲝ, ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲕᲔᲑᲘᲗ

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲮᲐᲒᲣᲤᲠ-ᲓᲐᲡᲣᲠ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲝ ᲞᲘᲔᲡᲐ.

ᲤᲐᲡᲘ: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1თვ. 40 თითო ნომერი 10 კაპ.

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს. **ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ.** განცხადების ფასი: ორიგებით, ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

Типографія „Сорапань“ სტამბა“ **სორაპანი“**

თეგზის ძრეწველი

ძმ.

ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9

ტელეფონი № 71-2.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ძვეშ

საკუთარ სახლში

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი

როგორც პუშკინის ქუჩაზე

ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებული, საუცხოოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. ნომრები ოთხი ბაზიდან. ნომრებში სმაზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (ბანაობებით ოდუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პრსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (ᲬᲐ)

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ

ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲡ №1 ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ახლახან გაიხსნა

ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ Ა.Ს. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

1 მაისიდან ქალაქ თბილისში გაიხსნა ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე ეზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკი, 6.

ᲫᲕᲠᲘ ᲡᲘᲬᲧᲕᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ 26—27 ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛ

ᲐᲥᲔᲠᲫᲚᲝᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲪᲠᲔᲚᲘ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚ

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ